

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №305

2023 წლის 15 აგვისტო

ქ. თბილისი

„საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 იანვრის №46 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 22/01/2020, 240110000.10.003.021754) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საფურაჟე კულტურების თესლის ბაზარზე განთავსების პირობების“:

1. პირველი მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის მიზანია ბაზარზე განთავსებისათვის განკუთვნილი თესლის წარმოება და მათი ბაზარზე განთავსებისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენა, საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარეგების ინსპექტირება და ეტიკეტირება.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ წესის „საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“ დანართი №4-ით განსაზღვრული მცენარეების თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი სერტიფიცირებულია, როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“, ხოლო კულტურების: *Glycine max (L.) Merr.*- სოიასა და *Linum usitatissimum L.*-ჩვეულებრივი სელის თესლი შეიძლება ბაზარზე განთავსდეს, თუ ისინი სერტიფიცირებულია როგორც „საბაზისო თესლი“, „სერტიფიცირებული თესლი“ პირველი თაობა ან „სერტიფიცირებული თესლი“ მეორე თაობა.“.

3. მე-3 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ მუხლი:

„მუხლი 3¹. დამატებითი მოთხოვნები

1. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარეგების მიმწოდებელს უნდა:

ა) ჰქონდეს თესლის შემრევი მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს მზა ნარეგის ერთგვაროვნებას;

ბ) ჰქონდეს დანერგილი თესლის შერევის ყველა შესაბამისი პროცედურა;

გ) ჰყავდეს თესლის შერევის ყველა ოპერაციაზე პასუხისმგებელი უფლებამოსილი პირი;

დ) ჰქონდეს საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის განკუთვნილი თესლის ნარეგების რეესტრი.

2. საფურაჟე კულტურების წარმოებისათვის თესლის ნარეგების მიმწოდებელმა განაცხადით უნდა მიმართოს სერტიფიცირების ორგანოს, რომელიც ახორციელებს თესლის ნარეგის შემოწმებას ყოველი კომპონენტის იდენტურობისა და საერთო წონის ეტიკეტის შერჩევით და შერევის ოპერაციის შერჩევით, მზა ნარეგების ჩათვლით.

3. განაცხადში მითითებული უნდა იქნეს:



ა) სხვადასხვა კომპონენტი, სახეობა და, საჭიროების შემთხვევაში, ჯიშების პროცენტული შემცველობა წონის მიხედვით;

ბ) ნარევის დასახელება, რომელიც მინიჭებული აქვს შეფუთვის ეტიკეტირებისათვის.

4. საფურაჟე მიზნით გამოყენების შესახებ დეტალური ინფორმაცია მითითებული უნდა იქნეს ეტიკეტზე და/ან მიმწოდებლის ეტიკეტზე.“.

4. დანართ №3-ის შემდეგ დაემატოს თანდართული შინაარსის დანართი №4.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

დანართი №4

საფურაჟე კულტურების თესლის გვარების და სახეობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იყოს სერტიფიცირებული როგორც „საბაზისო თესლი“ ან „სერტიფიცირებული თესლი“

	გვარები და სახეობები ლათინურად	გვარები და სახეობები
		ქართულად
1	<i>Agrostis canina L.</i>	ძაღლის ნამიკრეფია
2	<i>Agrostis capillaris L.</i>	ჩვეულებრივი ნამიკრეფია
3	<i>Agrostis gigantea Roth.</i>	თეთრი ნამიკრეფია (სინონიმია)
4	<i>Agrostis stolonifera L.</i>	სტოლონებიანი ნამიკრეფია
5	<i>Alopecurus pratensis L.</i>	მდელოს მელაკუდა
6	<i>Arrhenatherum elatius (L.) Beauv. ex J. S. et K. B. Presl</i>	ფრანგული კონდარი
7	<i>Brassica juncea (L.) Czernj et Cosson</i>	სარეპტის მდოგვი
8	<i>Bromus catharticus Vahl</i>	შვრიელა გამწმენდი
9	<i>Bromus sitchensis Trin</i>	სითხენზის შვრიელა
10	<i>Festuca ovina L.</i>	ცხვრის წივანა
11	<i>Lotus corniculatus L</i>	კურდღლის ფრჩხილა
12	<i>Lupinus albus L.</i>	თეთრი ხანჭკოლა
13	<i>Lupinus angustifolius L.</i>	ლურჯი ხანჭკოლა
14	<i>Lupinus luteus L.</i>	ყვითელი ხანჭკოლა
15	<i>Medicago lupulina L.</i>	სვიისებრი იონჯა
16	<i>Phacelia tanacetifolia Benth</i>	ფაცელია
17	<i>Phleum bertolonii DC.</i>	ტიმოთელა (სინონიმია)
18	<i>Poa nemoralis L.</i>	ტყის თივაქასრა



19	<i>Poa palustris L.</i>	ჩვეულებრივი თივაქასრა
20	<i>Poa pratensis L.</i>	მდელოს თივაქასრა
21	<i>Poa trivialis L.</i>	ჩვეულებრივი თივაქასრა
22	<i>Sinapis alba L.</i>	თეთრი მდოგვი
23	<i>Trifolium alexandrinum L.</i>	ალექსანდრიული სამყურა
24	<i>Trifolium hybridum L.</i>	შვედური სამყურა
25	<i>Trifolium incarnatum L.</i>	ალისფერი სამყურა
26	<i>Trifolium resupinatum L.</i>	შაბთარი
27	<i>Trisetum flavescens (L.) Beauv.</i>	ოქროშვრია
28	<i>Vicia faba L. (partim)</i>	ცერცვი
29	<i>Vicia sativa L.</i>	ჩვეულებრივი ცერცველა
30	<i>Vicia villosa Roth.</i>	ბანჯგვლიანი ცერცველა

